გაზეთი ღირს

| თუმე | მან. კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი  სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი ღ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


Годъ VI.  Годъ VI.

Въ городѣ карсѣ,

Карсской Области

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1888 ГОДЪ.

*Газета „Карсъ“ въ 1888 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.*

**Условія подписки:**

**Съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.**

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свой требованія и иногородные.

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству.


## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 16 დეკემბერს, წარმოდგენების დასაწყისად „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

### გაყრა

კომედია ოთხს-მოქმედებად თ. გიორგი ერისთავისა.

II

### სამაგელი

კომ. ორს მოქმედებად, გადმოკეთებული თ. დ. ერისთავის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, არლანი და სხვანი; ბბ. აბაშიძე, ცაგარელი, მაქსიმიძე, ოქრონელი, კანდელაკი, ფაღლენიშვილი და სხვანი.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს $7^1/_2$ საათზე

ტფილისი, 15 დეკემბერი

დღეს, თექვსმეტს დეკემბერს, დიდის ხნის ლოდინის შემდეგ ჩვენი საზოგადოება ეღირსება ქართულის თეატრის გამართვასა და ქართულ წარმოდგენათა დაწყებასა. ეს დღე, ჩვენის აზრით, იმდენად ღირს-შესანიშნავია, რომ არ შეგვიძლიან ყურადღება არ ვათხოვოთ, რადგანაც ამ დღიდგან იწყება ახალი ხანა ქართულის თეატრის არსებობისა.

ქართული თეატრი ახალი საქმეა... მცირე ხნის განმავალობაში ჩვენმა თეატრმა ბევრი განსაცდელი გამოიარა; ზოგჯერ საქმე იქამდის მისულა, რომ თეატრის არსებობაც საეჭვო იყო, მაგრამ საჭიროება თეატრისა იმდენად ძლიერი ყოფილა, საზოგადოება იმდენად ჰგრძნობდა ამ საჭიროებას, რომ ნორჩი და კეთილი საქმე არ ჩაიშალა. ჩვენს თეატრს ისეთი დრო გამოუვლია, რომ არც საკმაო ნიჭიერი და მომზადებული მოთამაშეები ჰყავდა, არც საკმაოდ მხნე და მცოდნე მოთავე, არც საჭირო ღონის-ძიება ჰქონდა, მაგრამ, რა-კი თეატრის საჭიროება არსებობდა, ვერავითარმა დამაბრკოლებელმა და შემაფერხებელმა გარემოებამ ვერ შემუსრა ჩვენი თეატრი. ეს გარემოება იმას მოასწავებს, რომ ქართულს თეატრს მკვიდრი ნიადაგი აქვს, ასე რომ არავის ეთქმის, რომ ქართული თეატრი მეტი და ან ძალად დანერგილი საქმე იყოს. ეს იმის საბუთია, რომ დღეის შემდეგაც ჩვენის თეატრის არსებობა უეჭველია, რომ იგი კიდევ უფრო იხეირებს და შეიქმნება ძლიერ საშუალებად ჩვენის ზნეობითის და გონებითის წარმატებისა.

დღევანდელი დღე იმით არის შესანიშნავი, რომ ამას იქით ქართულს თეატრს ექმნება მუდმივი სცენა, ისეთი სცენა, რომელიც მოწყობილია სათეატრო პირობათა მიხედვით, რომელიც იმდენად მშვენიერი და მოხერხებულია, რომ წუნი არა დაედება-რა, როგორც მცოდნე კაცები ამბობენ, ადგილობრივის თეატრების და ჩვენის ღონის-ძიებისა მიხედვით. დღეის იქით ვიცით, რომ ქართული თეატრი დამოკიდებული არ იქნება რაიმე შემთხვევაზე, რომელსაც შეუძლიან ასე თუ ისე ხელი შეუშალოს კეთილს საქმეს.

ამიტომაც ქართულის თეატრის წარმომადგენლებმა უნდა შემოიკრიბონ ყოველივე ძალ-ღონე, დასდონ რაც შეიძლება მეტი შრომა და მეცადინეობა, რათა კეთილი საქმე ახეირონ და პირ-ნათლად გაუძლვენ საზოგადო საჭიროებას. ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ არავითარი ღონის-ძიება არ უნდა დაზოგოს იმისათვის, რომ სინიდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა. ყოველივე ეს მით უფრო საჭიროა, რომ ქართული თეატრი ჯერ ახალი, ნორჩი საქმეა, რომელსაც ფაქიზად და გულმტკივნეულად მოპყრობა უნდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საზოგადოება თეატრს უფრო ეტანება, ვიდრე სხვა რომელსამე საქმეს და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს თეატრის მნიშვნელობას.

არ დავივიწყოთ, რომ ქართულს თეატრს კიდევ უფრო ფართო სარბიელი მოელის. ამის საბუთი ის არის, რომ იგი არა სჯერდება მარტო ქალაქებსა, არამედ იმას გადააქვს თავისი მოქმედება ისეთს დაბა-სოფლებშიაც, რომელნიც მიყრუებულ და მივიწყებულ ადგილებად ითვლებიან. გამოცდილებით ვიცით, რომ ქართულს თეატრებს დიდი პატივის-ცემა და სიყვარული დაუმსახურებია სოფლებში და აქ არის დიდი მნიშვნელობა ქართულის თეატრისა.

ყოველივე, რაც ზემოდ მოვიხსენიეთ, ისეთი გარემოებაა, რომელმაც უნდა გააორკეცოს თეატრის მოღვაწეთა მხნეობა და მეცადინეობა. რადგანაც თითქმის ყველა გარემოება ჩვენის თეატრის სასარგებლოდ მოეწყო, რადგანაც ჩვენს თეატრს ბევრად უკეთესი დრო დაუდგა, ამიტომაც ვისურვოთ, რომ თეატრის მოღვაწეთა და წარმომადგენელთა გააორკეცონ თავისი შრომა და ცდა, და საზოგადოებამაც მეტი თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობა აღმოუჩინოს ამ კეთილს საქმეს. ვისურვოთ, რომ ჩვეულებრივი დაუდევრობა და უზრუნველობა წინ არ გადაგვეღობოს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 15-ს დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ს საათზე, აკურთხეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის თეატრი. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის პოლიციის უფროსი, საადგილმამულო ბანკის წარმომადგენელნი, ქართული დრამატიული დასი, ბ-ნი ფორკატტი თავისის დასითურთ, გა-

## ფელეტონი

### ხევსურული სიმღერები

შეკრებილი

ნ. ურბნელის მიერ

გურს[1]) ველობა ნუმც ქნილა,
გამასვლა ორის ძმისაო,
, მაგათ იარაღები —
სახსარი თითოს ტყვისაო.
დგეს, აილეს აბჯარი,
ალი ახსენეს ღვთისაო,
მიუვლენ აპარეკასა[2]),
ნაპირ ჩაეძიათ წყლისაო;
ტუმრულად ჩამაიარეს
ქალაი შატილისაო[3]),
ტერელოს[4]) ქალას ჩადიან,
ხანია შულამისაო,
პოსოხს[5]) პირდაპირ ჩამუსხდეს,

[1]) სოფელი პირ-იქით ხევსურეთში.
[2]) კაცის სახელი.
[3]) სოფელი პირ-იქით ხევსურეთში.
[4]) სოფელია ლეკეთში.
[5]) სოფელია იქვე.

ხანია თენდებისაო.
ბოსოხით ცხვარ-მწყემს გამოვა,
რისხვა გამოჰყვა ხთისაო,—
დააყარიან თოფები,
მზის პირ დახვეის ჩრდილსაო!
თოფის ხმა იდუაისა[6])
ტერელოს ჩამადისაო;
აჩქარდეს ტერელოველები,
ჭიკვა[7]) დგას ცხენებისაო...
—„არიქად, ტერელოველებო,
მწყემსი მოგვიკლეს ცხვრისაო!..“
შამაეხვიენეს მირგვლივა,—
თქვენი შინ წასვლა საჭირო...
თოფი ხოლიგას[8]) დაჰკრიან,
მუხლი მოჰკვეთეს მგლისაო;
ბრალია იდუაისა,—
თავი ვერ დასთმა ძმისაო;
ეგ უფრო საკვირველია,—
ძმას ზეით ომობდისაო[9]).
შინ მასვლა მოულოციდით
ბათაკიაი[10]) შვილსაო,

[6]) სახელი ხევსურისა.
[7]) ქიხვინი.
[8]) ხევსურის სახელი.
[9]) თოფი მოკლულზედ გასდო და ისე ისროდაო.
[10]) ხევსურის სახელი.

ჰცადა და აღარ გაეიდა,—
გამოსულია ზღვითაო[11]);
სულეთში[12]) ულაკაური[13]),
ხარი[14]) სათავეს ზისაო,
შვილნ მიუდიან იაღნი[15]),
მზე დეეფინა პირსაო;
უხოცავ ტერელოველები,
მზიდავი თან ჰყვებ წყლისაო[16]);
უთხრიდით მაგათ დედასა:
—„დაწევ, გულ მიეც ძილსაო,
შენ შვილთ ქნეს სახსენებელი,
მანამ ღურბელ ჰდის ცისაო“...
ამაგ სიმღერის მათქვამი,
ბერ-კაცი ბანზედ ზისაო,
ძმა მეც მამიკლეს ქისტებმა,
ყველას თავისი სწყინსაო;
ველარ ვზიდავდი ლამესა,
აღარც ანდე[17]) მაქვს გზისაო,

[11]) ზღვა-დიდი, მკაცრი ომი.
[12]) საიქიო.
[13]) კაცის სახელი.
[14]) კარგი ვაჟკაცი.
[15]) ცნობებულნი, ლაღნი.
[16]) საიქიოს მოკლული ურჯულო წყალს უზიდავს მომკვლელს ხევსურსა.
[17]) გაგება, აზრი, ნდობა გზისა.

თორემ მეც წასვლა მეწადა,
სადგომ მეც ეიცი ცხვრისაო!

ალუდა ხირნლის მე ზვიადაური
ს თვ. არდოტი

**

კისტანს[18]) მოვიდა ლაშქარი,
ლეკისა ახვაისაო[19]),
აბულეთაურთ ციხესა
კარი არ შესხნან ხისაო!..
შიგა შავიდა ხოლიგა,
თეთრი მანძილა[20]) ტყისაო,
მამისაურად ვაჟებსა
თესლი აქვს არწივისაო!..
აქებენ ბაბკიაურებს[21]),
ცდა მამალგ მაუდისაო...
კაცი ხევსურეთს გააგდეს:
— „ვეიშველეთ“, ეძახდისაო...
წინ-წინ ხახმატით[22]) მოიდეს,
ეტლ[23]) მოჰყვა გიორგისაო;
გაგვიგებიეთ გუდაანს[24]),

[18]) სოფელია ხევსურეთში.
[19]) სოფელია არღუნის ოლქში.
[20]) დიდს ირემს ეძახიან.
[21]) გვარის სახელი.
[22]) სოფელია ხევსურეთში
[23]) იღბალი, ბედი. ხახმატში წმ. გიორგის სახელზედ შესანიშნავი სალოცავია, ჯვარი.
[24]) სოფელია ხევსურეთში.

ბრალ მისწვდა მამის ძმისაო;
ბაცალიგოელთ[25]) ვაჟებსა
იმედ აქვს ცხენებისაო:
მოუჭრეს წინახადუვლებს[26])
მოკლე საყენი[27]) მთისაო;
გუნდი ლიკოკით[28]) გამასტყვრა
ქორისა, შავარდნისაო;
დათვის ჯვარ[29]) გადაიარეს,
ნამ გადაბერტყეს მთისაო;
სალაშქროს ქალას ჩაგროვდეს,
ელვა სდგას ჩაჩქნებისაო!..
დოლათა გაიდაურსა[30])
მხარი მასტეხეს მგლისაო;
ნუ იტყვით ჩალხის[31]) სიკვდილსა,—
საწყენ არს მაღლის ღთისაო!..
მზემა გაიგა—იწყინა,
ცა წმინდა ნამსა ყრისაო,

[25]) სოფელია იქვე, შესანიშნავი პირქუშის ხატითა.
[26]) ს. წინ-ხადო სოფელია ხევსურეთში.
[27]) პატარა გზა, ბილიკი.
[28]) ხეობაა, სადაც ლიკოკელთა თემი ცხოვრობს.
[29]) სახელია ადგილისა პირ-იქით ხევსურეთში გადასავალზედ.
[30]) კაცის სახელი.
[31]) სახელია.

ზეთების წარმომადგენელნი და სხვა მრავალი დამსწრე. ამ ცერემონიის დროს გალობდნენ ძმანი კარბელოვები; ამათმა გალობამ მეტად დაატკბო დამსწრეთა სმენა.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი ქართველი ახალგაზდა აპირებს დაბა სურამში გამართოს წიგნების მაღაზია. სწორედ ბედნიერი აზრი მოსვლია, რადგან სურამი ისეთ ადგილზეა, სადაც მრავალი ქართველობა ხვდება და უეჭველია მათში ბევრი მოიწადინებს წიგნების ყიდვასა, მით უმეტესს, რომ ჩვენში საზოგადოდ წიგნები ძრიელ იეფია. იქნება სურამის მაგალითი სხვა დაბა-ქალაქებმაც აიღონ და ამით დაეხმარნენ კითხვის გავრცელებას ჩვენს ხალხში.

*** ქალაქის ბორანი, რომლითაც ხალხი გადი-გამოდის მტკვარზე მუხრანიანთ ხიდთან, ხანდისხან ეშმაკობს ხოლმე. მებორნე ჯერ გამოართმევს გადასაყვანს ფულსა და მერე შუა მტკვარში შეაყენებს ბორანსა და აღარც წინ მიდის, აღარც უკან. მიზეზი ის არის, რომ ზოგმა ფული არ მომცა და მუქთად უნდათ გადასვლაო. ატყდება ერთი კიჟინი, ვაი-ვაგლახი, ჩხუბი, მაგრამ მებორნე ფეხსაც არ იცვლის, მანამ მგზავრებს არ მოსწყინდებათ და რამდენსამე კაპიკს დამატებით არ მისცემენ. ხშირად ორისა და სამის კაპიკის გულისათვის შეაყენებს ხოლმე ბორანსა.

ურიგოს არ იზამდნენ, რომ ჭკუა ესწავლებინათ ამ ახირებულ მებორნესათვის.

*** გუშინ სალამოს ექვს საათზე სასახლის ქუჩაზე, სომხების ქამოაანთ ეკკლესიის ეზოში, გატეხეს დარაჯის სადგომი. ავაზაკებს სხვა-და-სხვა ნივთები შეეკრათ ერთად, მაგრამ წაღება-კი ვერ მოუსწრიათ, რადგანაც პოლიციამ დროზე შეიპყრო.

*** კვირას ცხენ-მავალას სადგურის მახლობლად რიყეზე ერთი ვილაც სასამართლოს მოხელე მოდიოდა ფაიტონით. ფაიტონი დეეჯახა ერთს კალატოზს, წააქცია და წინა თელებით ზედ შეადგა. ფაიტონში მჯდომმა მოხელემ იმის მაგიერ, რომ სიტყვით მაინც ეცა ნუგეში დაჩეჩქვილ კაცისათვის, დაუწყო საბრალოს ლანძღვა-გინება. პოლიციელი არ იდგა თავის ადგილას და ეს ამბავი შეუნიშნელი დარჩა.

*** ხარფუხში წმინდა სანთლის ქარხნის გალავანი გადმოიქცა; ეს გალავანი კიდევ რამდენსამე ალაგას დაბოშებულია და, თუ ეხლავ არ შეაკეთეს, შესაძლოა უბედურება რამ მოხდეს.

*** მინდვრის ოსებში ძალიან იყო გავრცელებული ქურდობა. მთავრობა იძულებული გახდა მიემართა თითონ სოფლებისათვის, რომ იმათის შემწეობით მოესპო ეს საშინელი სენი. თითო სოფელზე ამოირჩიეს თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი, რომელთაც თვალყური უნდა ეგდოთ სოფლის ავლა-დიდებაზე. ეხლა იქიდამა გვწერენ, რომ ასეთმა ღონის-ძიებამ სრულებით მოსპო მინდვრის ოსთა სოფლებში ქურდობაო, — აგერ კარგა ხანია, ქათამი რა არის და იმის მოპარვასაც-კი ვეღარა ჰბედვენ ქურდ-ბაცაცებიო.

ურიგო არ იქნებოდა ამისთანა ღონის-ძიებისათვის მიემართნათ აგრეთვე ივრის ხეობაში და ქართლში, სადაც დღითი-დღე მატულობს და იზრდება ქურდობა და ავ-კაცობა.

*** სურამი: 12 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე, ერთს სურამელს მეეტლეს გაეცარცვა წიფელი მუშა კონდრატიევი და წაერთმია საწყლისათვის თხუთმეტი მანეთი. საქმე ასე ყოფილა: კონდრატიევი მეეტლეს გარიგებოდა ორ მანათად წიფამდის წაყვანას. როდესაც კონდრატიევი ჩამჯდარიყო ეტლში და სურამს გასცილებოდა, მეეტლეს დაეწყო ორის მანეთის თხოვნა. კონდრატიევს წინ-და-წინ არ მიეცა. ამიტომ მოსვლოდათ ჩხუბი. მეეტლეს ორ მანეთის მაგივრად, როგორც კონდრატიევი სურამის სადგურზე ლაპარაკობდა და ტიროდა, თხუთმეტი მანეთი წაერთმია. გაცარცულმა პოლიციას მიჰმართა და არ ვიცით, პოლიციამ რითი გაუთავა საქმე.

*** რუისი: კვირას, ამ თთვის ექვსსა, ღამე, გასტეხეს რუისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის კასსა. აი საქმე როგორ ყოფილა: იმ დღეს შუა-ღამემდის ულოთნიათ საქმეო კაცებსა იქ, დუქანში, რომელიც მეზობლად არის გამსესხებელ ამხანაგობის სახლთანა, სადაც მუდამ ყარაული წევს თურმე, მაგრამ იმ ღამეს გამგეობის წევრი, რომელსაც მინდობილი აქვს მთელი ბანკი, თერთმეტს საათზე ავად გამხდარა და შინ ასულა — სახლი იქვე აქვს. ალბად უდროვნიათ, მისულან, გარეთი კარები გაუტეხნიათ; აუგლეჯიათ მიწიდამ ბურღებით მაგრად დაკრული და რკინით გადაკრული ყუთი და გამოუტანიათ. ყუთი წაუღიათ ს. ბებნისისაკენ, სომხეთის მხრივ, რუისიდამ, სადაც განმარტოებით ერთი მეკომური ცხოვრობს. ბევრსა წვალებულან და ძლივს გამოუმტვრევიათ გვერდი ყუთისა ერთის ცილის სიგძეზე. აქედამ ამოუცლებიათ, ამოუგლეჯიათ წიგნები, დავთრები, თამასუქები. ამ დიდს ყუთში მდგარა პატარა ყუთი ფულისა, რომელიც ღია ყოფილა; შიგა დებულა ცხრა თუმნამდის ფული; ეს ფული წაუღიათ, დანარჩენი ქაღალდები და ფული დაუგდიათ ბებნისის გზაზედ. გამგეობის წევრს დილით ადრე, რიჟრაჟზე, ჩაუგზავნია კაცი სანახავად; გატეხილი კარი რომ დახვედრია, ელდა სცემია; მაშინვე წევრს გამგეობისას მთელი რუისი ფეხზე დაუყენებია. სკოლის შეგირდებს უთქვამთ, რომ რაღაც ყუთი გდია ბებნისის გზაზეო. წასულან და ამოუტანიათ. საქმე გამომძიებლის ხელშია. როგორც ამბობენ, დამნაშავეთა პოვნა ადვილიაო.

*** ახალციხიდგან: წარსულს თთვეში აბასთუმანში მოხდა შემდეგი უცნაური ამბავი. ამ წლის აგვისტოში დაიკარგა ერთი აბასთუმნელი სომეხი ვინმე არუთინა, რომელიც თითქმის ორი წელიწადია, რაც ჭკუაზე შესცდა და ხშირად უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა. პატრონებმა ეძებეს დაკარგული არუთინა, მაგრამ ვერც იპოვეს და არც მნახველი აღმოჩნდა; ბოლოს თავი დაანებეს ძებნას და კიდევ იმედოვნებდნენ იმის დაბრუნებას, რადგანაც წინადაც უხეტიალნია ხოლმე ტყეში და ისევ შინ დაბრუნებულა. გაიარა სამი თთვე არუთინას დაკარგვის შემდეგ; ბოლოს ერთმა მახლობელ სოფლის თათარმა იპოვნა არუთინა აბასთუმნის ტყეში ამ გვარ მდგომარეობაში: ჩაცმული არუთინა თავის განუშორებელ ტყავის ქუდით იჯდა ხის ძირში, მუხლებზე ხელები დაეწყო და თავი ჩაეღუნა; ამ ნაცნობ თათარს ეგონა, ან ჩაფიქრებულა და ან სძინავსო; ამიტომ შორიდამვე დაუწყო თურმე ძახილი: „არუთინ, არუთინ!“ არუთინამ ხმა არ ამოიღო და თათარმა ამხანაგს დაუძახა და ერთად მიიღნენ ასაყენებლად; ხელი რომ წაავლეს იღლიებში, არუთინა მთლად ჩაიშალა თურმე, რადგანაც მარტო ძვლები-ღა ყოფილიყო დამპალს ტანისამოსში. გაოცებულმა თათრებმა მაშინვე შეილს შეატყობინეს, რომელმაც ტომრით ჩაიტანა მამის ძვლები აბასთუმანში და მიწას მიაბარა...

აი, თითქმის გაიდა შემოდგომა და ჯერ არ ვიცით ხეირიანი არც წვიმა და არც თოვლი. თუმცა მზიანი დღეები დგას, მაგრამ საგრძნობლად ცივა და დედამიწაც დახკდა. რა თქმა უნდა, ამ გვარი ამინდები არ ახეირებს გაზაფხულის მოსავალს. ჯავახეთის მოუსავლობამ აქაც დააძვირა პური და ქერი.

*** კავკავი: სოფ. ზილგეში მოხდა ერთი საზარელი მკვლელობა კაცის მკვლელის ცოლი იყო დროებით წასული თავის სამშობლოში. ეს დედაკაცი ერთ დღეს თავის მამის მოჯამაგირეს შალის წინდებს უკერავდა; ამ დროს თურმე ქმარი მისწრო და ჰკითხა ცოლსა — ეგ ვის წინდებსა ჰკერავო; ცოლმა უპასუხა — მოჯამაგირისასაო. მოჯამაგირეც იქვე მდგა. ქმარს რაღაც ეჭვმა გაურბინა, წაგლიჯა ცოლს ხელიდგან წინდები, გაიძრო ხანჯალი და ლუკმა-ლუკმა აქცია. მოჯამაგირეს ეწყინა და უთხრა — ათი შაური ფული მიეეცი, რად დამიკუწე წინდებიო. ეჭვით აღელვებულმა ქმარმა არც აცივა და არც აცხელა, გაუქნია ხანჯალი საბრალო მოჯამაგირეს და ფაშვები გარდმოაყრევინა. მოჯამაგირე იქვე დაეცა, მკვლელი-კი დღესაც გაქცეულია და არავინ იცის, რა იქნა.

*** იქიდამვე: სოფ. ხუმელაგაში ყვავილი გაჩნდა. ყვავილი თუმცა ჯერჯერობით სოფელს დიდს ზარალს არას აძლევს, მაგრამ მაინც საჭიროა ყურადღება მიაქციონ და გამოგზავნონ ამცრელები თავის დროზედ, რომ სხვა სოფლებშიაც არ გაზშირდეს ეს გადამდები სენი.

*** გაზ. „Сѣв. Кавказъ“-სა სწერენ, რომ კავკავში მხატვარს ბ-ნ კ. ხეთაგუროვს გამოუკიდნია დიდი სურათი წმ. ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა. სურათი თურმე ისე ცხოველად არის დახატული, რომ ხალხს არა სჯერა, თუ ეს სურათი ფიცარზეა მიკრული, ჰგონია, რომ გამოქანდაკებულიაო და ამიტომ ბ-ნ ხეთაგუროვსა სთხოვენ ხოლმე, რომ ახლო გაგვასინჯე სურათიო.

*** კავკასიის მაღალ წოდებასაც გაეწერა მამულზე გარდასახადი. ეხლაო, — ამბობს გაზ. „Кут. Вѣдомости“ — ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის თავ-მჯდომარეობით კომისია შეუდგა გარდასახადის გაწერვის საქმესა. სასტატისტიკო კომიტეტში გაცხარებული მუშაობაა. მაღალ საზოგადოების მემამულეთა კომლის რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში არის თითქმის 12,200; უნდა გადაიხადონ 54½ ათასი მანათი. მაშასადამე, კომლზე 4 მანათი და ორი აბაზი მოვიდოდა, რომ ყველა კომლისათვის თანაბრად გადეხდევინებინათ, მაგრამ ხარჯი გაეწერებათ მამულის რაოდენობაზე.

## ტფილისის საბჭო.

(14 დეკემბრის კრება)

1880 წლის 11 მაისს ქალაქის სამმართველო და რკინის გზის მმართველობა ერთმანერთს შორის მორიგდნენ იმაზედ, რომ ნავთლუღს იქით რკინის გზაზედ კიდევ სადგური უნდა გაემართათ, სადაც ყოველ გვარი საქონელიც უნდა მიეღოთ და ყველა კლასების ბილეთებიც გაეყიდნათ. ამ მორიგებითვე არსენალის წინაც უნდა გაემართათ პატარა სადგური, სადაც მარტო მესამე კლასის ბილეთები უნდა გაყიდულიყო და ზოგიერთი საქონელიც უნდა მიეღოთ, რადგან ადგილის მდებარეობა მეტის ნებას არ აძლევდა. ამას გარდა მუდამ დღე მკვდრების გადასატანად

---

მთვარემა ხუთმეტისამა
შავი შაიცვა პირსაო!..
მგელათ უთურგას[32]) აუგით
ეკალდამაი რელისაო,
შინ შააწვინეთ უთურგა,
ანგელოზია ღთისაო,
ოქროს დაუდგით სარკმელი,
შუქი ჩაადგას მზისაო,
გვერდით ლეკ დაუწვინიდით,
მამკლავი ოროლისაო!..
— „ლეკო, ოროლის მამკლავო,
დედა გაგიწყრა ღთისაო:
მგელიანთ ბულო[33]) მოგაბამს
თეთრი სიათის პირსაო[34])!

(მისივე)

**

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა, —
ბრძანებს გუდანის ჯვარიო[35]);
ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა,
სიწმინდის ელვენ ცანიო!
ველ-კეთილ[36]) დაგროვდებოდეს,

32) ხევსურის სახელი.
33) სახლია.
34) [illegible]
35) [illegible]
36) [illegible]

წვიმის არ სწვდების ცვარიო;
სამი დასვიან ქადაგი[37]),
ერთს არ მოუვა ჯვარიო...
ხევსურებმ არ დაიჯერეს, —
მითხოს[38]) მით დავსცნათ ცანიო;
დათვის ჯვარ გადადიოდა,
როგორც ნაგუბარ წყალიო;
ქუდ-სახდელასა[39]) ჩადიან,
ჩააწყვეს თოფის ჯარიო...
დაწვეს, დადაგეს შუ[40]) მითხო,
ცას გაადინეს ალიო;
ჯარეგა[41]) შამაამტვრიეს,
ქავი[42]) და ქავის კარიო,
ციხესა აქაისასა[43])
თოფის ახვიეს კვამლიო,
სტუმარი აქაისაი

37) ქადაგის საქმეა გაიგოს—ყაბულობს ჯვარი ლაშქრობას, თუ არა.
38) ქისტეთის ნაწილი, რომელიც ხევსურეთს ჩრდილოეთით არტყავს.
39) სახატო ადგილია ს. შატილის პირდაპირ, სადაც ხევსური ქუდის მოხდით ხატს სალამს უძღვნის.
40) მითხოს შუა სოფელია.
41) სოფელია მითხოში.
42) ციხე, გალავანი.
43) ქისტის სახელი.

კუბოს შაწვინეს მკვდარიო!..
კაცი წალალეს ახვაში[44]),
აქ მოგვიჭირენ მხარიო;
ცხენს შასხდეს ახვად შვილები,
მააქრინ როგორც ქარიო!
არღოს[45]) ჩაგვყარეს ხევსურე,
ღმერთო, რა დიდი ბრალიო!..
— დავითო მარაიშვილო,
რა ტურფა გიდგა ტანიო;
მაგწვიმდა ტყვია-ისარი,
როგორც თბე[46]) ბორბალს წყალიო;
იკითხე, გამოიკითხე, —
მემეტე[47]) რომელ ხარიო,
გულს დახვარ თეთრი ისარი,
პირქვ დაეფშვნიტა მკვდარიო!..
აქამც მოგვიხსნა ლიკოკელნ,
ქორ-შავარდენის ჯარიო,
ანამცა ჩამოგვიჩინნა
თემროზაულნი ძმანიო:
აგებ მოხკლევდეს ბაჩაყსა[48]),
ფეხში გვდებიყო მკვდარიო!..

ბადია ბალიაური
არხოტი

**

44) სოფელია ქისტეთში.
45) ხევი ხევსურეთისა და მითხოს საზღვარზე.
46) ფერი.
47) წინამძღოლი ბრძოლის გულზე, თავ-გამეტებული.

ხახმატით გაუბედავის
საქისტეთოდა მზირსაო[49]),
გამუძლევის ხათუთის ძეი[50]),
მუხლი შაიბა მგლისაო;
დათვის ჯვარს გადმადიოდეს,
ნამ შამაბერტყეს მთისაო,
ანდაკზედ[51]) ჩამადიოდეს,
კვალ ჩამაიღეს მგლისაო,
აწუნტას[52]) ღელეს გაიდეს,
ლიშან დაუდგა ცდისაო[53]),
ხოხიდიც[54]) ჩამაიარეს,
ხანია მზის მოსვლისაო,
მზირი შეყრილა მზირზედა,
თოფის ხმა ამადისაო...
ბრალია ხათუთის ძეო,
ტანი დაგეძრას გმირსაო!
მამკლავსაც არ გავუშვებდი,
ლიშან შეაგდებ კბილსაო;
ძმაი გოგოთურ[55]) გვერდ გედგა,

48) ქისტის სახელია.
49) მზირი—მეკობარი, თუღლი.
50) ხევსურის სახელი.
51) მთაა მითხოში.
52) გადასასვლელი მთა თუშეთში.
53) შულდის ნიშანი, მტერს შეეპირება... [illegible]
54) ადგილია.
55) კაცის სახელი.

შავარდენ მხრებსა შლისაო!
ფერაულთ[56]) ახალ-ვაჟები
წყნარა გახედვენ ლიშანსა,
ეტანა ქეთელაური[57]),
ჭერას ჰგონობდა მხრისასა, —
„თოფი თუ არ დამიჯერებს“,
იმედს დადგება ხმლისასა...
წინ-წინ ხმა გატყდა არღოტში[58]),
ამოსახედსა მზისასა,
მერმე ხმა გატყდის ხახმატში, —
ჩამატეხას ჰგავს ცისასა!..
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
ქალსა მაგ ჩალხურისასა:
ბრალია ჩამოხდებოდე
სადგურსა შავარდნისასა!..

ბლუდა ხირჩლას მე ზვიადაური

56) ხახმატელი ხევსური.
57) თემის სახელი.
58) სოფ. ხევსურეთში.

განსაკუთრებული მატარებლები უნდა დანიშნულიყო ნავთლუღამდე და ეს მატარებლები არსენალის სადგურთანაც უნდა გაჩერებულიყო წამსვლელთა მისაღებად. ერთი მატარებელიც, რომელიც არა უგვიანეს დილის 5-ის საათისა შემოდის ქალაქში, უნდა მდგარიყო ნავთლუღის სადგურზედ და აქედამ ქალაქში დაკლული საქონლის ხორცი წამოეღო.

უმთავრესად ამ გვარს მორიგებას საგნად ისა ჰქონდა, როგორც სჩანს, რომ ჯერ ერთი ყველა სასაფლაოები მოშლილიყო ქალაქში და ნავთლუღის იქით გადაეტანათ; მეორეც ისა, რომ ნავთლუღიდამ საკლავი ადვილად და იაფად შემოტანილიყო ქალაქში.

ყველა ამასთან ისიც მართალია, რომ რკინის გზის დიდი სადგური მეტად დაშორებულია ქალაქზედ, რომელიც გადაჭიმულია წყლის იმ ნაპირაზედ, თითქმის რვა ვერსტის მანძილზედ, ასე რომ სადგურის გამართვა ავლაბარში მეტად მოხერხებული იქნებოდა და გაუადვილებდა მისვლა-მოსვლას ქალაქის მცხოვრებლებს, მით უფრო, თუ ამ სადგურზედ დაწესებული იქნებოდა როგორც ყველა კლასების ბილეთების გაყიდვა, ისე ყოველ გვარ საქონლის მიღებაცა. ამის გამო ქალაქის გამგეობას ხელახლად ჭაუმართავს მოლაპარაკება რკინის გზის გამგეობასთან იმის თაობაზედ, რომ ეს სადგური რაც შეიძლება ახლოს გადმოეტანათ ავლაბარზედ. ესეთი ადგილი კიდეც მოუძებნიათ—ეს არის კახეთის გზაზედ, ნოვო-ტროიცკის უბანსა და იმ ხევის შუა, რომელიც ნავთლუღის საავადმყოფოს სასაფლაოს ჩაუდის; ამ გვარად სადგური, იმის მაგივრად, რომ ნავთლუღის იქით იყოს, ეხლა ავლაბარსა და ნავთლუღს შუა რჩება და ქალაქს 650 საჟენზედ უახლოვდება და შემდეგში, ეჭვი არ არის, დიდი მნიშვნელობა ექმნება ძველის ქალაქის მცხოვრებლებისათვის, რომლებსაც აქ უფრო მოეხერხებათ მიმოსვლა, ვიდრე დიდს სადგურზედ. ამასვე ხელს უწყობს ორი ხიდი—მნაცაკანოვისა და ავლაბრისა. რკინის გზის გამგეობაც პირობას იძლევა, რომ ნავთლუღს იქით სასაფლაოზედ მიცვალებულთა გადასატანად რკინის გზის ტოტს გაიყვანს თვით სასაფლაომდე და იქ დახურულ სადგურსაც გააკეთებს; და რომ უფრო ადვილი გახდეს მიცვალებულთა გადატანა ამ სასაფლაოზედ, არსენალის წინაც გაკეთდება პატარა სადგური მხოლოდ მიცვალებულთა მისაღებად და იმ ბილეთების გასაყიდად, რომელიც სასაფლაოზედ წამსვლელთ დასჭირდებათ. ამისათვის რკინის გზის გამგეობა სთხოვს ქალაქს ას ოთხ-კუთხს საჟენს მიწას ავლაბარში და იმდენს კიდევ, რამდენიც დასჭირდება ლიანდაგის გასაყვანად სასაფლაოსაკენ. ქალაქის გამგეობამ თანახმად ამ თხოვნისა შესცვალა რკინის გზის მმართველობასთან მორიგების პირობანი და დღეს წარმოუდგინა საბჭოს დასამტკიცებლად აი ეს პირობანი:

ა) ავლაბარსა და ნავთლუღს შუა უნდა აშენდეს სადგური, სადაც მიიღებენ კიდეც ყოველ გვარს საქონელსა და ჩააბარებენ კიდეც; ამასთანავე მიმომსვლელთათვის უნდა ჰყიდონ ყველა კლასების ბილეთებიც.

ბ) არსენალის წინ უნდა გაკეთდეს პატარა სადგური, ხოლო ავლაბრის სადგურიდამ უნდა გაკეთდეს ნავთლუღისაკენ რკინის გზის ტოტი, რადგან ამ ადგილას განზრახულია ტფილისის ყველა სასაფლაოების გადატანა, და იქ სადაც ეს ტოტი გათავდება დახურული სადგომი უნდა აშენებულ იქმნას. შემდეგში თუ ქალაქს დასჭირდება კიდევ სხვა ტოტების გაკეთება, ნება ეძლევა გაიყვანოს თავის ხარჯითა.

გ) არსენალის წინ სადგურზედ მიიღებიან მხოლოდ მიცვალებულნი და იმათი ჭირისუფალნი და პატივის მცემელნი

დ) ქალაქი მუქთად აძლევს რკინის გზის საზოგადოებას ას ოთხ-კუთხს საჟენს მიწას ავლაბრის სადგურის ასაგებად და კიდევ იმდენს მიწას, რამდენიც დასჭირდება ნავთლუღს იქით სასაფლაოზედ ტოტის გასაყვანად.

ე) დღე მუდამ დანიშნული იქნება განსაკუთრებული მატარებელი მიცვალებულთა და იმათ პატივის-მცემელთ არსენალის სადგურიდამ ნავთლუღის იქით სასაფლაოზედ გადასაყვანად; თუ საჭიროება მოითხოვს, ავლაბრის სადგურზედაც უნდა შეჩერდეს მატარებელი.

1880 წელს შედგენილს პირობებს რომ შევადაროთ ეს პირობანი, ცხადად დავინახავთ, რომ როგორც წინად, ისე ეხლაც ერთად-ერთი განზრახვა ჰქონია ქალაქსა—სახელდობრ ისა, რომ როგორმე ყველა სასაფლაოები ქალაქს გარედ გადატანილ იქმნას, რადგან არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მცხოვრებთა ჯან-მრთელობისათვის ამ გარემოებას. ამას გარდა ავლაბარში სადგურის აშენებით მეტად დიდი შეღავათი ეძლევათ ავლაბრისა, ნავთლუღისა, ხარფუხისა და სეიდაბადის მცხოვრებთა, იმით, რომ უადვილდებათ რკინის გზით მიმოსვლა და ეს ასე არ იქნებოდა, თუ რომ სადგური ნავთლუღს იქით ცარიელს ადგილში აშენებულიყო, როგორც წინად იყო განზრახული. მხოლოდ ერთად-ერთი ნაკლულევანება ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ გზით ნავთლუღიდამ საკლავი ვერ გადმოიტანება ქალაქში, რადგან უფრო ძვირად დაჯდება ჯერ ავლაბრის სადგურზედ მიტანა, აქედამ ქალაქის დიდ სადგურზედ, მერე კიდევ აქედამ შიგ ქალაქში შემოტანა, მაშინ-როდესაც პირდაპირ ნავთლუღიდამ შემოტანა ქალაქში წინანდელის რიგითა უფრო იაფად ეღირება, მით უფრო, თუ ცხენის რკინის გზაც გაეაკეთეთ, რის გამოც ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ქალაქის გამგეობას ამ გზის საზოგადოების მმართველობასთან. მიუხედავად ამისა გამგეობამ ეხლანდელი პირობანი ამჯობინა წინანდელსა და, როგორც მოვიხსენიეთ, სთხოვდა საბჭოს ამის დამტკიცებას.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის აზრი და ისიც დაავალა გამგეობას, რომ მოურიგდეს რკინის გზის სამმართველოს და არსენალის სადგურზედ საჭირო ხორაგეულობის მიღებაც გაიმართოს და წამსვლელ-წამომსვლელნიც მიიღონ.

მეტი საყურადღებო ამ დღეს არა გარჩეულა-რა, თუ ბ-ნ კალოუბნელის მოხსენებას არ ჩავთვლით. ბ-ნი კალოუბნელი თხოულობდა, რომ მიხაილოვის ქუჩიდამ გადატანილ იქმნას სხვა ადგილებში კუბოებისა და სასაფლაოს სხვა-და სხვა ძეგლებით ვაჭრობაო, იმიტომ-რომ ეს ქუჩა ერთად-ერთი დიდი ქუჩაა გაღმა მხარეს, ქალაქში, დიდი ხალხიც დაიარებაო და მეტად ცუდად მოქმედებს განსაკუთრებით დედათა სქესზედ, ასე რომ ხშირად მეტად ცუდი ბოლო მოსდევს ხოლმე ამასაო. მაგალითებიც მოიყვანა ბ-ნმა კალოუბნელმა თავის დაკვირვებიდამ.

საბჭომ დაადგინა: მიენდოს გამგეობას, რათა ამ საქმის შესახებ წესები შეადგინოს და შემდეგ წარმოუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად.

კრებას დაესწრო 36 ხმოსანი. კრება დაიწყო $8\frac{1}{2}$ საათზე და გათავდა $10\frac{1}{2}$ საათზე.

ა. ლ—ძე

## წერილი სვანეთიდამ

ოქტომბრის და ნოემბრის ნახევარმა ავდრიანად ჩაიარა სვანეთში. მთებზე, როგორც მგზავრებმა მითხრეს, შვიდ მტკაველამდე თოვლი ჩამოუყრია. ავდრის გამოისობით უშგულის საზოგადოებაში დღემდე, ე. ი. დეკემბრის ხუთამდე, ნამუშევრის ლეწვა ვერ გაუთავებიათ.

ოქტომბერში ორი სამწუხარო ამბავი მოხდა უშგულში: ერთმა კაცმა თავი მოიკლა თავისისავე თოფით და მეორე კაცის სახლს ცეცხლი წაუკიდეს მტრობით. თავის მკვლელი, გვარად ასათიანი, როგორც მითხრეს, ჭკუაზე შემცდარი ყოფილა. სატოლდავს ოჯახი ყურს ადევნებდა და იარაღს უმალავდა ყოველთვის. იმ ღამეს, თოფი რომ მიირტყა, შვილი-შვილის ნათლა ჰქონია. სახლში ყველაფერი მზად ჰქონიათ: საკლავები დაკლული, პური და არაყი მომარაგებული. მღვდელთან კაცი გაუგზავნიათ მოსაყვანად. ისე მომხდარა, რომ ერთხანს მარტო ეს ასათიანი და მელოგინე ქალი დარჩენილან სახლში. ამ დროს ასათიანს კიდობანში უნახავს განგებ დამალული თავისი თოფი, აუყენებია ჩახმახი, თოფის ტუჩი ზედ ფერდზე მიუბჯენია, ჩახმახისათვის ფეხის თითები მოუკრავს, თოფი მაშინვე გავარდნილა, ტყვია მარცხენა ფერდში სცემია და მარჯვენა ბეჭის ქვეშ გამოვარდნილა. სატოლდავს მეორე დილამდე უცოცხლნია.

სახლი დაუწვეს კასაბერ ბეშიძეს. სახლი უკაცური იყო, შიგ ნამჯა ეწყო. ნამდვილად არ იციან, ვინ წაუკიდა ბეშიძის სახლს ცეცხლი. აბრალებენ-კი ერთს უშგულელს, რომელსაც ბეშიძის ქალიშვილი ჰყვანდა სცოლედ დანიშნული, მაგრამ ქალი სხვა საქმროს გაჰყვა. ამბობენ, ამ კაცმა მტრობით დასწვა ბეშიძის სახლიო. ხალხმა ბეშიძეს სარჩო მოუგროვა როგორც უშგულში, ისე ზოგიერთ სვანეთის სოფლებშიაც. ასეა ჩვეულებად შემოღებული სვანეთში. როგორც თავის მოკვლა, ისე ცეცხლის წაკიდებაც ძლიერ იშვიათი მოვლენაა სვანეთში.

ნოემბერში მესტის საზოგადოებაში მოჰკლეს ერთი კაცი, თაისავ ნიგვრიანი. ნიგვრიანი გვიან დაბრუნებულა სახლში; ცოლი თურმე ლოგინს უშლიდა; ამ დროს ფანჯარიდგან გამოვარდნილა თოფი, მოხვედრია ნიგვრიანს და მაშინვე სული დაულევია. მეორე დღეს ერთს მოსახლეზე აეღოთ ეჭვი და კიდევაც დაეტუსაღებინათ. ამ დროს გამოსულიყო მოკლულის ბიძაშვილი ნიგვრიანივე და ეთქვა—მე გამიწყრა ღმერთი, მე მოვკალიო. მოკვლის მიზეზად ის ეთქვა, რომ ამას წინაზე მე და მოკლული წავკიდენით და ცუდის სიტყვებით შემამკოვო, სხვათაშორის ყველის ქურდობაც დამწამა; ეს ისე სამარცხვინოდ მავიჩნიე, რომ გადავწყვიტე მისი მოკვლაო. მკვლელი მაშინვე დაიჭირეს.

ზოგიერთ სოფლებში ისევ დადის სახადი. სვანეთის მომრიგებელი-მოსამართლე საზამთროდ წამოვიდა სოფ. ცაგერს და გადმოიტანა თავისი კანცელარიაც. სვანეთის ბოქაულად თ. დადეშქელიანი დაამტკიცეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოგვყავს მოკლედ შინაარსი ელისეევის მეხუთე ლექციისა ქალების მდგომარეობასა და ყოფა-ცხოვრებაზე აღმოსავლეთ ქვეყნებში. მეხუთე ლექციაში ლექტორს ულაპარაკნია სხვათა შორის სომეხთა ქალებზედაც მცირე აზიაში და ჩვენში.

მცირე აზიაშიო,—უთქვამს სწავლულს მოგზაურს—განის ტბის ახლო-მახლო, ესრედ წოდებულთ სომეხ-ნესტორიელებში, ქალი ნამდვილი გმირია, მამაცი და გულადიო. იმათი ქალი გაცხარებით იბრძვის და თავსაც-კი არა ზოგავს, ოღონდ-კი თავისუფლება შეირჩინოს.

ელისეევს მაგალითიც დაუსახელებია ქალის მიერ ასეთის გმირულის საქციელისა:

ერთი იქაური დედაკაციო, უთქვამს ლექტორს,—რომელიც ჰარამხანაში მოჰყოლია როგორღაც, ასო-ასო დასჭრეს, იმიტომ-რომ ვერ აიტანა სირცხვილი, ვერ გასძლო ჰარამხანაში, არ ინდომა მონად ყოფნა და განიზრახა თავის ბატონის მოკვლაო.

აი მეორე მაგალითი კიდევ, რომელიც უფრო ცხადად ამტკიცებს იმ ქვეყნის ქალის გმირობასა და მამაცობას:

ჩერქეზნი დაესხნენ თავს ერთს სოფელს და ერთს ქვრივს დედაკაცს სამის წლის ქალი მოსტაცეს. გამწარებული დედა ამხედრდა ცხენზე და მდევრად გაეკიდა მტაცებლებსა. ყველას ეგონა, რომ ეს არის, დაიღუპა დედაკაციო, მაგრამ წარმოიდგინეთ რა ნაირ გაჰკვირდნენ სოფლელები, როცა დაინახეს, რომ დედაკაცი დაბრუნდა სახლში, მართალია, დაჭრილი და თითებ-მოკვეთილი, მაგრამ თან მოიყვანა თავისი ბავშვიცა.

ელისეევის აზრით ამ ქვეყნის ქალი მხნე, შრომის-მოყვარე და ყოველის პატივის-ცემის ღირსიაო. ვიღაც ნოსარიების ქალები-კი ძალიან დაბლა სდგანანო.

ნოსარიები ქალებს უწმინდურს არსებას უწოდებენ. ქალებიო, ამბობს ეს ხალხი, ეშმაკთან ერთად არის გაჩენილიო. ასევე დაბლა სდგას თითქმის დრუზების დედაკაცებიც, თუმცა თავისუფალია, ისეთივე უფლება აქვთ მინიჭებული, როგორიც მამაკაცებს და ხშირად ებრძვის კიდეც იარაღით ხელში მტრებსა.

შემდეგ ელისეევს აფრიკის ზოგიერთ ქალებზე ულაპარაკნია, სახელდობრ ბერბერების ქალებზე და მათ შრომის-მოყვარეობაზე:

ერთი ბერბერის ქალიო, უთქვამს პატივცემულს დოქტორს ელისეევს,—რომელიც განთქმული იყო სილამაზით მთელს ალჟირშიო, შემთხვევით ჩავარდა განათლებულის ფრანგის ოჯახობის ხელში. ბერბერი ქალი საუკეთესო ყმაწვილი ქალი შეიქმნა და ქვეყანას აკვირვებდა ბალებზე თავის ჭკუითა, ქცევითა და აღმოსავლეთის ქალის სილამაზითა. განათლებულის ცხოვრების ნებივრობამ და ფუფუნებამ არ გაუფუჭა ხასიათი ამ ქალს და როცა დაბრუნდა თავის სამშობლო უდაბნო ქვეყანაში, კვლავ წინანდებურად დამშვიდებით ჰმწყემსავდა მამის თხა-ცხვარსა.

ელისეევს საკმაოდ ულაპარაკნია აგრეთვე აფრიკის სხვა-და-სხვა წვრილ ერთა ქალების მდგომარეობაზედაც. ბევრგან ქალი უფრო მხნეა, თანაშემწეა ქმრისა, ზნეობის მცველია და თავ-დაფარულიო.

ტუარეგებში დედაკაცს დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი დიასახლისია და ოჯახის ბურჯი. ზნეობა მაღალ ხარისხზე სდგას. მრავალ-ცოლობა არ არსებობს. პირ-ბადეს იქ ქალები-კი არა, კაცები იკეთებენ. სახარის უდაბნოში ერთი უცნაური ზნე შევნიშნე: არა-იშვიათად იქ ქალებს მიანდობენ ხოლმე ჯალათის საქმესა და აკვლევინებენ მონებსა.

ბოლოს ელისეევს სომხების ქალებზე უთქვამს:

სომხის ქალებმა მშვენივრად იციან ხელ-საქმე. ამათ ძალიან კარგად გადაუწყვეტიათ დიდი საკითხავი ქალის შრომის თაობაზე. ყმაწვილის ქალის ყოფა სწორედ სასიამოვნოა და ბედნიერი; დედაკაცი, ცოლი-კი შევიწროებულია. ასეთს გაჭირებაშია სომხის დედაკაცი იქაც-კი, სადაც სომხებს ევროპის ცივილიზაცია უგემნიათ. მე ვნახე ხარფუხში სომეხი, რომელიც ევროპიულად ცხოვრობდა და დავრწმუნდი, რომ სომხის დედაკაცი მოშორებულია ყოველსავე, შევიწროებულია და შესაცოდავი. ეს გარემოება დიდს ლაქსა სცხებს სომხობასაო.

ეტყობა, რომელიმე შანჭრაქა სომეხი უნახავს ელისეევს, რომელიმე სომხეთის კიტ-კიტიჩი და იმის სახლობის მდგომარეობას შეუწუხებია ასე პატივცემული დოქტორი.

**

წადი ეხლა კიდევ და სწიეთ პაპიროსი და სიგარები. თუ არ დაუშლია კაცსა, პაპიროსებსა და სიგარებს ბევრად სჯობნებია ისევ წეკო, რომელსაც მდაბიო ხალხი სწევს.

თუთუნის ბოლში ათასი შხამი და საწამლავი ურევიაო, ამბობენ გაზეთები. გახშირებული თუთუნის წევა მადას უკარგავს კაცსა, სტომაქს უშლის. თუთუნის ბოლი თვალთ-ხედვასაც ასუსტებს, ხშირად კიდეც აბრმავებს კაცს. ამას გარდა პაპიროზის ბოლი კბილებსაც აშავებს და აფუჭებს კბილზე გადაკრულს ბჭყვინვარე ნივთიერებას. უფრო მავნებელია სიგარის წევა. ბოლის გარდა სიგარის მწეველი ჰყლაპავს იმის შხამიან წვენსაც. რაც უფრო ძვირფასია თუთუნი და კეთილ-სუნელოვანი, მით უფრო ბევრი ურევია შხამი და საწამლავი. ისევ თუ მოწევაა, უნდა მოსწიოს კაცმა წეკო და თითო კაპიკიანი სიგარებიო.

ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინონ!

## წვრილი ამბები

— ქალაქი კრეფელდი დიდის მოუთმენლობით ელის თავის მე-100,000 მოქალაქეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ქალაქს ეხლა 99,998 მკვიდრი ჰყავს თურმე და ორი აკლია 100 ათასის შესრულებას. ამას წინად ერთი ახლად დაბადებულის ყმაწვილის მამა მისულა მოწმობის ასაღებად, ხოლო, საუბედუროდ, მე-99,999 №-რი რგებია.

— თუ მიმჭკნარი და მოწყვეტილი ყვავილი ყლორტით რამდენსამე წუთს ცხელს წყალში ჩასდოთ, მიმჭკნარი ყვავილი მაშინვე გაცოცხლდება, ფურცლებს გაისწორებს, რადგან ავადმყოფ მცენარეებისათვის ყველაზედ საუკეთესო წამალი ცხელი წყალია. თუ მიმჭკნარს ყვავილს კიდევ შეუძლიან გაფურჩქვნა, უნდა ცხელი წყალი დაასხათ ხოლმე იმ მიწას, რაშიაც ყვავილი ჩაყენებულია. ალეანდრი, ბროწეულის ხე და ზოგიერთნი სხვა ოთახის მცენარენი უფრო ხეირობენ თურმე, როცა ცხელის წყლით ირწყვებიან.

— განთქმულს ინჟინერს და სუეზის არხის გამყვანს, ფერდინანდ ლესეპს, ამ დღეებში 83 წელიწადი შესრულებია. ამის გამო გაზ. „Daily News“-ი ახსა-

დებს სხვა-და-სხვა გამოჩენილ კაცთა სახელებს, რომელთაც მოხუცებამდე მიუღწევიათ: იმპერატორი ვილჰელმი 90 წლისაა, დელინგერი—88, კოშუტი—85, მოლტკე—87, პროფესორი ოვენი—83, გლადსტონი—79, მაკ-მაგონიც—79, ნაპოლეონ მე-XIII—78, ლორდი ტენისონიც—78, გახთქმული ბარნუმი—77, გრევი—79, ვერდი—73, ბისმარკი—72 და ლორდი გრენვილიც—72 წლისაა. ხოლო ყველაზედ უფროსი გამოჩენილი ფიზიკოსი და ხიმიკოსი შევრელია, რომელსაც ამას წინად შეუსრულდა ასი წელიწადი. გაზეთი უმატებს ბოლოს, რომ ჯერ კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ხანა არა ყოფილა, რომ ამდენი მოხუცნი ყოფილიყვნენ, მოხუცნი, რომელნიც სულ გამოჩენილნი და სახელგანთქმულნი არიანო.

## გასართობი

გაზ. „ახალს მიმოხილვაში“ ერთი მშვენიერი ამბავია ნაამბობი და გული არ მოგვისვენებს, რომ გასართობში არ ვუამბოთ ჩვენს მკითხველებს.

ამ ოც-და-ექვსის წლის წინად მთელი ტფილისი ლაპარაკობდა ერთს გერმანელ ქალზე. ეს გერმანელი ქალი მერძევე იყო, კალონიაში ცხოვრობდა; ქალი ყოველ დილა გამოვიდოდა, სარძეულს გამოიტანდა და დაჰქონდა რძე. ერთს დღეს ეს ქალი ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ უყო პირი,—აქეთ მოხილეს, იქით ეძებეს, ვერ იპოვნეს და ვერა. ამ კეკლუცის მერძევეს ქმარი, რომელიც ორის შვილის მამა იყო, თმებს იგლეჯავდა მწუხარებით.

აირია მონასტერი, შიგ დატრიალდნენ მუცლიანი გერმანელები და დაუწყეს ძებნა დაკარგულს მერძევეს სახლებსა, დუქნებსა, აბანოებსა, არხებსა, ჭებსა და სარდაფებში, ხოლო,მათდა საუბედუროდ და სავალალოდ, ყოველივე მათი ცდა ამაო იყო. ასე ეგონათ, რომ ზემოხსენებული ქალი მტკვარში დაირჩოვო და დაიჭირეს მენავეები, რათა ქალის დარჩობილი გვამი მაინც ეპოვნათ როგორმე.

ვიღაც პატიოსანმა კაცმა გარდასცა თურმე ამ ქალის ნათესავებს, რომ ეგ ქალი ერთის მიკიტნის დუქანთან ვნახეთ იმ დღეს, რა დღესაც ქალი დაიკარგაო; ეს დასახელებული დუქანი იყო ძველს შენობაში, რომელიც აწ აღარ არსებობს და რომლის ადგილასაც ეხლა ახალი თეატრია აშენებული. გადმოაბრუნეს და გადმოაქოთეს მთელი დუქანი მიკიტნისა; ეჭვი შეიტანეს, რომ არ მოკლა და ჩაფლა სადმეო; პოლიციაში ათრიეს, რუმბები გადმოუბრუნეს. გაოცებული მიკიტანი დარეტიანებულივით იყო და არ იცოდა, რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ, ვისთვის რა ვირი მოეპარა.

სულ ბოლოს და ბოლოს, რომ ვერაფრით იპოვნეს ვერც დარჩობილის გვამი, ვერც მკვლელი, ვერც ვერავითარიმე ამბავი გაიგეს და ყოველივე იმედიც დაჰკარგეს, გადასწყვიტეს: ბარბაროსთა შორის უდროვოდ დაკარგულის წმინდანის სული შევავედროთ ღმერთსაო, და დაიწყეს გლოვა, ძაძით შეიმოსნენ.

გაიარა დრომ, თითქმის ოც-და-სამ წელიწადზე მეტმა, და დრო ხომ ყველაფრის მკურნალია... მუცლიან გერმანელებმა გული მოიოხეს, დადინჯდნენ, ფიქრისგან გამოერეს მათზედ დატრიალებული უბედურება და ფიქრადაც აღარავის ახსოვდა... რომ ერთს მშვენიერს დღეს მიიღეს წერილი კეკლუცის მერძევესაგან... მერძევე ცოცხალი იყო, ჯან-სალი და იმის ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა... თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლია არც თავის დარჩობა, არც თავის მოკვლა, პირ-იქით, სიცოცხლეს ვიყავ მოწადინებული და ამიტომ ერთს ახალგაზდასა და მშვენიერს ლეკს გავყევი მთებში, გმირის შამილის სამშობლოში, იქ, სადაც ხალხს შავი თვალები და შეჭმუხვნილი წარბები აქვსო, სწერდა ქალი. დიდის სიყვარულით მიყვარს ჩემი სატრფო და მეც აქ ყველანი პატივსა მცემენ და თავზედ მევლებიანო. თუმცა არ დამვიწყებია, რომ ტფილისში ორი ცის ფერ თვალებიანი ყმაწვილი დავტოვე, მაგრამ რა ვქნა, აქ ოთხი მშვენიერი შავ-თვალება ყმაწვილი მყავს, მამაცნი, გულადნი და ჩემის თვალის ჩინნიო...

# დეპეშა

### 14 დეკემბერი

პეტერბურგი. როგორც ისმის, მინისტრთა კომიტეტს დაუდგენია ნიკოლაევის რკინის გზა დარჩეს უმთავრესის საზოგადოების გამგებლობაშიო.

მასსოვა. ინგლისის წარმომადგენელი ინახულა ნეგუსმა. ვაშანგანი ამ ჟამად მონკულოში იმყოფება და წასვლას აპირებს

### 15 დეკემბერი

პეტერბურგი. „Новое Время“ გვაუწყებს: მინისტრთა კომიტეტმა მოიწონა წინადადება, რომ რიაჟსკო-ვიაზემსკისა, მორშანსკო-სიზრანსკისა, ამიერ-კავკასიისა, დინაბურგ-ვიტებსკისა და დასავლეთ მხრის ზოგიერთ სხვა რკინის გზის შტოებზე კონტროლი დაინიშნოსო.

ლონდონი. სამინისტროს გაზეთი „Morning Post“-ი დაბეჯითებით ამბობს: ლორდს ჩერჩილს არავითარიმე საპოლიტიკო მისია არა აქვს მინდობილი, რადგან რუსეთის მთავრობამ კარგად იცის, რომ ინგლისი მშვიდობიანობას არის მოწადინებული და რაც შეუძლიან მხარს დაუჭერს იმ სახელმწიფოთა, რომელთაც ინგლისისამებრ მშვიდობიანობის დაცვა სურთო. დიდი სისულელე იქმნება ის იფიქროს კაცმა, ვითომ ინგლისმა ოფიციალურად თუ სხვა გზით შეიძლება ახლა სხვა აზრი გამოსთქვას თავის პოლიტიკაზე და თავის მიერ უკვე ბერლინსა, ვენასა, რომსა და სტამბოლში ნალაპარაკევს გადავიდესო.

ვენა. გუშინ იმპერატორის თავმჯდომარეობით კვლავ შესდგა სამხედრო თათბირი, რომელშიაც ერცჰერცოგ ალბრეხტმაც მიიღო მონაწილეობა.

რომი. ინგლისი თუმცა ბევრს ეცადა, მაინც ვერ შეიძლო იმის მოხერხება, რომ ნეგუსი გაებედვინებინა და იტალიისაგან მშვიდობიანად მორიგება ეთხოვნინებინა. ამის გამო ბრძოლა და შეტაკება აუცილებლად მოსალოდნელია.

პეტერბურგის ბირჟა, 11-ს დეკემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 15 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 182¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . | — » | — » | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 275 |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 247¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა . . | — » | — » | 98½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . | 84 | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—ტოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**16 დღე ოთხშაბათი.** წმ. წინ.-მეტ. ანგესი და წმ. თეოფინე დედოფლ. კათოლ. წმ. მოწ. ევსევისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 15 დღისაა.

**17 დღე ხუთშაბათი.** წმ. წინ.-მეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი, მისაილისა. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. ქალწულ. ინდოსისა და დომინესი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დამტკიცებულ იქმნა წესდება წმ. ნინოს დედათა სასწავლებლისა, 1846 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38. მთვარე 16 დღისაა.

**18 დღე პარასკევი.** წმ. სებასტიანესი. კათოლ. მოლოდინი ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27 ჩადის 4—39. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი . . . . | 13 | » |
| ძროხის ხორცი . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 5 | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისაკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი გა მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

# თამარიანი

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ფასი 60 კაპ. (10—9)

## საუნჯე ქართულის ენისა.

ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა-რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 » | 5 | „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 » | 4 | „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 | „ . . . | 8 „ — » | 3 | „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 » | 2 | „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 » | 1 | „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

## ВЪ 1888 ГОДУ

**(ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по нынѣшней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ **первое**, вечернее, предназначено для Восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а **второе**, утреннее,—для гор. Тифлиса, Западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10** р., на полгода—**6** р., на три мѣсяца—**3** р. **50** к., на одинъ мѣсяцъ—**1** р. **50** к. За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р. **50** к., на три мѣсяца—**5** р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Объявленія**: на 4-й страницѣ газеты по расчету **5** к. за строку **петита** или за занимаемое ею мѣсто. На первой страницѣ—**15** к. за такую-же строку.

Подписка и объявленія принимаются: **ВЪ ТИФЛИСѢ**—въ конторѣ изданія, **Головинскій просп., домъ кн. Мухранскаго; ВЪ БАКУ**—въ отдѣленіи конторы, **при аптекѣ Чишковскаго**, на углу Барятинской и Милютинской улицъ; **ВЪ КУТАИСѢ**—въ отдѣленіи конторы, **при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“**.

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издатель кн. **З. Р. Тумановъ.**

(5—4)


Доз. цен. Тиф. 15 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.